პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ბარბარე ყიფიანის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, გაგრძელდეს ბარბარე ყიფიანის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1:1,250
X=478675 ,Y=4620539
ბარბარე ყიფიანის ქ.
X=478577 Y=4620416
ალიკა ბოლქვაძე
ბულვარი

10/03260169-03.

MONTESSORI
KIDS UNIVERSE

ვის: ქ. თბილისი სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს ლევან აბაშიძეს

ვისგან: შპს „მონტესორი რეალ ისთეითი" (ს/კ 404708009

ობიექტის ფაქტიური მის: თბილისი, ონკოლოგიური ცენტრისა და ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ, ნაკვეთი #14/037 -საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.068)

დირექტორი - ნინო კიკნაძე, პირადი #01018001222

ტელეფონი: 577 900 515

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილი ქ #19

ელ-ფოსტა: nina.kiknadze@gmail.com

10.01.2026

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 2025 წლის სექტემბრის თვიდან, ლისზე ზემოაღნიშნულ ადგილზე (ს/კ 01.14.16.014.068) გავხსენით საერთაშორისო ადრეული განათლების დაწესებულება.

აღნიშნულ ადგილს (ქუჩას) არ ააქვს სახელი (არის ბარბარე ყიფიანის ქუჩის გაგრძელება), რაც მნიშვნელოვან პრობლემას გვიქმნის მუშაობის პროცესში (ვერ ხდება მოგნება, ვერ ვიღებთ ფოსტას, ვერ ვახერხებთ ტაქსის გამოძახებას და სხვა).

უმორჩილესად მინდა გთხოვოთ გაგვიწიოთ დახმარება, რათა მოხდეს ქუჩის სახელდება.

წინასწარ მოგახსენებთ მადლობას.

პატივისცემით,

ნინო კიკნაძე

დირექტორი

ელფოსტა nina.kiknadze@gmail.com მობილურის ნომერი 577 900515

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0326021120**
თარიღი: **21/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "მონტესორი რეალ ისთეითის" დირექტორის ნინო კიკნაძის 2026 წლის 01 იანვრის საქმე #10/03260169-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია 01.14.16.014.068 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელი გზის სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ბარბარე ყიფიანის ქუჩის გაგრძლების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.
დამატებით გაცნობებთ, რომ გზის გარკვეულ მონაკვეთზე რეგისტრირებულია ამხანაგობის კერძო საკუთრება, თუმცა ტერიტორიას მინიჭებული აქვს სატრანსპორტო ზონის სტატუსი.

დანართი 2 (ორი) გვერდი .

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260231969**
თარიღი: **23/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 21.01.2026 წლის # 03-0326021120 (21.01.2026წ. #10-01260213754-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი